

სს კოტეხი-გურჯაანის ღვინის კომპანია
2018 წელის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ინდივიდუალური საერთო დანიშნულების
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
შენიშვნა N1	8
ამონაგები	8
შენიშვნა N 2	9
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9
შენიშვნა N.3	9
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	9
შენიშვნა N4	9
მარაგები	9
შენიშვნები N 5	10
ძირითადი საშუალებები	10
შენიშვნა N6	11
არამატერიალური აქტივი	11
შენიშვნა N8	11
ბიოლოგიური აქტივი.....	11
შენიშვნა N 9	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
შენიშვნა N10	12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	12
შენიშვნა N11	12
სესხები	12

სს კოტეხი-გურჯაანის ღვინის კომპანია

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2018
შემოსავალი	1	11,913,940
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,182,641)
საერთო მოგება		4,731,300
გყიდვის ხარჯი		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2	(2,852,855)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		378,482
საოპერაციო მოგება		2,256,926
ფინანსური ხარჯი		
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		
პერიოდის მოგება		2,256,926
სხვა სრული შემოსავალი		
სრული შემოსავალი		

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გოჩა გომიშვილი

მთავარი ბუღალტერი

გიორგი ქარუმიძე

სს კოტეხი-გურჯაანის ღვინის კომპანია

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2018
შემოსავალი	1	11,913,940
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,182,641)
საერთო მოგება		4,731,300
გყიდვის ხარჯი		
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	2	(2,852,855)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		378,482
საოპერაციო მოგება		2,256,926
ფინანსური ხარჯი		
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		
პერიოდის მოგება		2,256,926
სხვა სრული შემოსავალი		
სრული შემოსავალი		

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გოჩა გიოშვილი



მთავარი ბუღალტერი

გიორგი ქარუმიძე



სს კოტეხი-გურჯაანის ღვინის ქარხანა

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

		შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5		6,586,915	5,300,247
არამატერიალური აქტივი	6		8,338	9,267
სულ გრძელვადიანი აქტივები			6,595,253	5,309,514
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	4		11,465,366	6,148,316
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9		6,248,098	3,980,676
ფული და ფულის ექვივალენტები	3		62,457	64,837
სულ მიმდინარე აქტივები			17,775,922	10,193,829
სულ აქტივები			24,371,175	15,503,342
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი			401,029	401,029
რეზერვი				
ძირითადი საშუალებების კორექტირება			4,896,720	4,896,720
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი			3,881,139	1,624,213
სულ საკუთარი კაპიტალი			9,178,888	6,921,962
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები და ფინანსური იჯარა				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10		2,735,210	2,661,158

სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
სს „კოტეხი-გურჯაანის ღვინის კომპანია“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „კოტეხი-გურჯაანის ღვინის კომპანია“ რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. გურჯაანი, კ. ქოროღლიშვილის ქ. N38. საიდენტიფიკაციო კოდი 227720017. კომპანია რეგისტრირებულია 29/08/1996, რეგისტრაციის N27/5-14.

მისი ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება ყურძნისაგან..

კომპანიას გააჩნია მშობელი დედა კომპანია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. ვინაიდან კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, შპს ესპრესო ჯორჯია სარგებლობს საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „სარეკომენდაციო მითითებით მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და არ წარადგენს შესაღარის ინფორმაციასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება ან შესრულება მომსახურება. ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით დღგ-ს გარეშე.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად არ გააჩნია ბალანსზე გადავადებული გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის, ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი განვლის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადად:

ვადა

სასარგებლო მომსახურების

შენობა-ნაგებობა	20
დანადგარები	5-10
ავტოტრანსპორტი	7-10
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5-10
სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის ვადით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური აქტივის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეედარდება მისი რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქტის რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

კომპანიაში არ არის ფინანსური იჯარის ოპერაციები. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი და მისაღები საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგები აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

ბიოლოგიური აქტივები

მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიანა მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

მრავალწლიანი ნარგავები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მრავალწლიანი ნარგავების ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი არის იმ კონდიციაში რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. მრავალწლიანი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 25 წელს.

ბიოლოგიური აქტივები გარდა მრავალწლიანი ნარგავებისა საწყისი აღიარებისას და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით ბიოლოგიური აქტივი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რელიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობაში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ უსარგებლია საბანკო სესხით და ოვერდრაფტით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი გასამრჯელოს გადახდები.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით). უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

3. განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა N1

ამონაგები

	2018
შემოსავმოალი ექსპორტზე რელიზაციიდან	10,916,523
სულ	10,916,523

შენიშვნა N 2 .

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
ხელფასის ხარჯი	(545,050)
ცვეთა და ამორტიზაცია	(311,447)
რემონტის მიმდინარე ხარჯი	(32,343)
მივლინების ხარჯი	(9,691)
კომუნიკაციის ხარჯები	(2,102)
საბანკო ხარჯი	(16,481)
სხვა	(1,303,198)
სულ	(2,220,312)

შენიშვნა N.3

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31.12.2018	01.01.2018
ფული ბანკში	11,463	52,257
ფული სალაროში	50,994	12,580
სულ	62,457	64,837

შენიშვნა N4

მარაგები

	31.12.2018	01.01.2018
ნედლეული და მასალები	11,465,366	6,148,316
სხვა სასაქონლო -მატერიალური მარაგები		
სულ:	11,465,366	6,148,316

შენიშვნები N 5

ძირითადი საშუალებები

	მინები	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშ.	საოფისე ინვენტარი	სხვა	სულ:
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი		
თვითღირებულება 1 იანვარი 2018	164,80						
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2018	1	3,705,649	1,502,168	121,817	56,636		
		(129,661)	(92,636)	(19,031)	(9,497)		
საბალ. ღირებულება 1 იანვარი 2018	164,80	3,575,988	1,409,532	102,787	47,140		5,300,247
შემოსვლა	-	132,278	1,332,418	41,200	48,909	24,843	1,447,370
გასვლა	-	-	-	-	-		
ცვეთის ხარჯი	-	128,197	150,171	19,911	12,428	373	311,079
დაგროვილი ცვეთა	-						
გაყიდვამდე	-	-	-	-	-		
საბალ. ღირებულება 31 დეკემბერი 2018	164,80	3,580,068	2,591,779	124,076	83,621	24,470	6,568,815

შენიშვნა N6

არამატერიალური აქტივი
ისტორიული
ღირებულება

საოპერაციო
პროგრამა

01.01.2018	
31.12.2018	9,360
	9,360
დაგროვილი ცვეთა	
01.01.2018	
პერიოდის ცვეთა	94
31.12.2018	94
	929
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
31.12.2017	
31.12.2018	9,267
	8,338

შენიშვნა N8

ბიოლოგიური აქტივი
ისტორიული
ღირებულება

ნარგავები

31.12.2018	
	18,100
დაგროვილი ცვეთა	
პერიოდის ცვეთა	
31.12.2018	368
	368
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
31.12.2018	
	17,732

შენიშვნა N 9

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები	31.12.2018	01.01.2018
სავაჭრო ვალების რეზერვი	4,785,296	3,338,089
სულ ფინანსური მოთხოვნები	4,785,296	3,338,089
სხვა გადახდილი ავანსები	134,844	54,462
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,327,958	588,125
სულ მოთხოვნები	6,248,098	3,980,676

შენიშვნა N10

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2018	01.01.2018
სავაჭრო ვალდებულებები	2,016,422	2,360,096
გადასახდელი ხელფასები	3,410	850
საგადასახადო ვალდებულებები	690,141	300,212
მიღებული ავანსები		
სხვა ვალდებულებები	25,237	
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,735,210	2,661,158

შენიშვნა N11

სესხები

	31.12.2018	01.01.2018
სესხები ფინანსური ინსტიტუტისგან	12,457,077	5,920,223
ფინანსური იჯარა		
სულ გძელვადიანი სესხები	12,457,077	5,920,223